ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1602718

ნომერი: AR1264578

თარიღი : 10.11.2014

გაცემის თარიღი : 26.11.2014

გაცნობის თარიღი : 02.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივლიანე წულაია პ/ნ 37001007207
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 59

ორგანიზაცია:
- შპს „გრინ სითი“ კოდი: 205295090

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2014 წლის 10 ნოემბერს AR1264578 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ივლიანე წულაიამდა მოითხოვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. #13–ში (01.10.16.004.154 საკადასტრო ერთეულზე) მრავალფუნქციური შენობის დასაგეგმარებლად სამსახურის №1368426 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენეის პირობებში ცვლილების შეტანა, მასში დაფიქსირებული შენიშვნის გაუქმების მიზნით.
აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მითითებული შენიშვნა – (საპროექტო ტერიტორიაზე შენობა–ნაგებობა განთავსდეს საბჭოს სხდომის წევრთა რეკომენდაციების გათვალისწინებით: –მიწის ნაკვეთზე არსებული ხე–ნარგავების სრული შენარჩუნებით;) დაფიქსირებულია ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და

განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომის  წევრთა რეკომენდაციით. შესაბამისად აღნიშნული მითითების გასაუქმებლად საკითხი კვლავ განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომამ, რომელზედაც მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა. ზემოაღნიშნული კომისიის 2014 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი #41-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

## ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ივლიანე წულაიას ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. #13–ში (01.10.16.004.154 საკადასტრო ერთეულზე) მრავალფუნქციური შენობის დასაგეგმარებლად სამსახურის №1368426 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენეის პირობებში ცვლილების შეტანაზე.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.